

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2023/12/31

1 ლარი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	61,323	30,648	281,827
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	326,548	-	89,704
ავანსებად და სესხებად გაცემული სახსრები	-	-	-
მარაგები	154,045	76,803	39,452
სხვა	-	93,999	12,108
საინვესტიციო ქონება	-	-	-
ძირითადი საშუალებები	9,254,701	9,730,468	8,820,958
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15,742	15,744	11,063
სულ აქტივები	9,812,359	9,947,662	9,255,112
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	328,902	289,941	419,847
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	23,021	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	77,525	-	17,029
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,035	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,049,533	3,515,138	1,651,810
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	1,085,897	42,670	-
სულ ვალდებულებები	4,572,914	3,847,749	2,088,686
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	540,000	540,000	540,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 2,034,526	- 1,174,058	- 107,545
გადაფასების რეზერვი	6,733,971	6,733,971	6,733,971
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	5,239,445	6,099,913	7,166,426
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9,812,359	9,947,662	9,255,112

საწარმოს დირექტორი
თამარ ბაღდავაძე



საქმიანობის შედეგების ანგარიში

2023/12/31

1 ლარი

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწვიდან	2,188,209	608,331	1,184,786
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-	-
სხვა	44,810	-	13,936
გაყიდვების თვითღირებულება	- 585,651	- 81,276	- 324,517
საერთო მოგება	1,647,368	527,055	874,205
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 990,823	- 523,373	-
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 575,515	- 626,069	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-
საპროცენტო ხარჯი	- 163,301	- 80,235	- 19,689
იჯარის ხარჯი	- 2,542	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 688,850	- 368,699	- 1,183,796
სულ საოპერაციო ხარჯები	- 2,421,031	- 1,598,376	- 1,203,485
საოპერაციო მოგება	- 773,663	- 1,071,321	- 329,280
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	- 773,663	- 1,071,321	- 329,280
საწარმოს დირექტორი			
თამარ ბაღდავაძე			

საკუთარი კაპიტალის მოძრაობა

2023/12/31

1 ლარი

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6,099,913	7,166,426	7,495,706
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	- 773,663	- 1,071,321	- 329,280
ახალი აქციების გამოშვება	-	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	86,805	4,808	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-



საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,239,445	6,099,913	7,166,426
--	-----------	-----------	-----------

საწარმოს დირექტორი
თამარ ბაღდავაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა
2023/12/31
1 ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	60,816	1,007,166	1,269,679
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	79,647	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	171,137	1,258,345	1,088,935
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	30,648	281,827	101,083
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	61,323	30,648	281,827

საწარმოს დირექტორი
თამარ ბაღდავაძე

შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური
საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰოტელ კოსტე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. რეგისტრაციის და ფაქტური მისამართია ქ. თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კოსტავას 45ა. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 204935696, კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.



კომპანიის დამფუძნებლები არიან:

თამარ ბაღდავაძე 18%;

ცისანა ბაღდავაძე 18%;

თამარა ბაღდავაძე 28%;

ნარგული ცხველიანი 36%;

კომპანიის დირექტორია თამარა ბაღდავაძე.

კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო, სარესტორნო და მასთან დაკავშირებული მომსახურებები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (IFRS for SMEs)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

	31/12/2021	31/12/2022	31/12/2023
1 USD/GEL	3.0976	2.7020	2.6894
1 EUR/GEL	3.5040	2.8844	2.9753

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.



ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება შემოსავლებში მომსახურების გაწევის დასრულების მომენტში (სასტუმრო მომსახურება). ამონაგები საქონლის მიწოდებიდან აღიარდება საქონლის მყიდველზე გადაცემის მომენტში. (სარესტორნო და სხვა მომსახურებები).

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი ესტონური მოდელის შესაბამისად საწარმო არ აღრიცხავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, სანამ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდად განაწილება (განაწილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რიგი სხვა განაცემებიც). შესაბამისად გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია როგორც პარტნიორების წმინდა მოგება ასევე მოგების გადასახადი 15%.

ძირითადი საშუალებები

ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი მომსახურების პერიოდები:

შენობა-ნაგებობები	5%	10 წელი
მანქანა-დანადგარები	20%	5 წელი
ოფისის არტყურვილობა	20%	5 წელი
ავეჯი ინვეტარი	20%	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები



არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ცვეთის ნორმად აღებულია 15%.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება ყოველთვიურად. შედეგები აღიარდება მოგება/ზარალში.

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.



ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი და შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში და შემოსავლებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საწარმოს მომსახურებას არ ახლავს გარანტია, შესაბამისად არაა აქტუალური საგარანტიო ანარიცხების ან რეზერვების გაკეთება.

პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ წარმოქმნია 2023 წლის პერიოდში ან ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისათვის, შესაბამისად არ აქვს ასახული ასეთი მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ან თავად ანგარიშებში.

4. ამონაგები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	716,299	496,643	1,319,106
შემოსავალი რესტორნიდან და ბარიდან	451,123	73,240	849,166
სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	31,300	38,448	19,938
ჯამი	1,198,722	608,331	2,188,209

საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლები იყოფა კატეგორიებად.

- მიღებული სტუმრების დაბინავების შემოსავლები აღირიცხება პროგრამა "ფიდელო"-ში.
- რესტორნიდან და ბარიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება სარესტორნო პროგრამის მონაცემებით.

სხვა მომსახურებებია (ინვენტარის რეალიზაცია, სამრეცხაოდან მიღებული შემოსავალი, ტაქსით მომსახურება და სხვა)

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები



არასაოპერაციო შემოსავლებში აღირიცხება გამოვლენილი სასაქონლო მატერიალური მარაგების ზედმეტობა, ასევე კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
ცვეთა და ამორტიზაცია	513,530	626,070	575,515
შრომის ანაზღაურება	415,523	523,374	990,823
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	150,828	114,140	195,629
მიმდინარე რემონტი	14,630	10,351	19,935
სადაზღვეო ხარჯები	10,755	9,877	78,383
საპროცენტო ხარჯი	19,689	80,236	163,301
ბანკის მომსახურების ხარჯი	3,099	6,721	0
საკანცელარიო ხარჯი	0	2,095	0
საიჯარო ქირა	246	0	2,542
საგადასახადო ხარჯები	0	84,995	97,924
მიწოდების და რეკლამის ხარჯი	0	0	180,893
სხვა ხარჯები	37,150	140,517	116,086
	1,165,450	1,598,376	2,421,030

7. ფინანსური ხარჯები

სესხზე დარიცხული პროცენტები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 0 ლარი
	19,689	80,236	163,301

8. ფულადი სახსრები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,430	3,035	18,667
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	275,781	25,506	32,634
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,617	2,107	10,022
	281,827	30,648	61,323

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	47,069	68,887	103,782
გაცემული ავანსები მომწოდებლებზე	-	-	92,136
საქვეანგარიშო პირზე გაცემული თანხები	189,406	20,817	130,630
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
	236,475	89,704	326,548



10. წინასწარ გადახდილი ხარჯები

-

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
საქონელი	3,368	3,845	23,728
ნედლეული და მასალები	-	-	7,677
მზა პროდუქცია	-	-	14,952
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,787	4,348	85
რესტორნის სასმელები და კვების პროდ.	33,236	67,548	106,542
სუვენირები	1,062	1,062	1,062
	39,452	76,803	154,045

12. ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
მიწის ნაკვეთი			
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
საბოლოო ნაშთი	577,470	577,470	577,470

შენობა-ნაგებობა

შემოსვლა	34,324	1,042,189	599,216
გასვლა	- 3,461 -	1,672 -	1,406
ცვეთა	- 410,508 -	428,461 -	423,003
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბოლოო ნაშთი	7,830,512	8,442,568	8,617,376

მანქანა-დანადგარი

შემოსვლა	337	30,454	1,995
გასვლა	- 2,055	-	-
ცვეთა	- 22,973 -	23,496 -	19,616
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბოლოო ნაშთი	87,032	93,990	76,369

აღჭურვილობა

შემოსვლა	13,072	510,228	56,876
გასვლა	- 17,283	-	-
ცვეთა	- 81,155 -	219,732 -	152,906
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბოლოო ნაშთი	325,944	616,440	520,410

საბალანსო ღირებულება

8,820,958 9,730,468 9,791,625

13. არამატერიალური აქტივები



არამატერიალური აქტივები არის საწარმოს მფლობელობაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება, რომელიც აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით. აქტივები არის უვადო და მას ერიცხება 15% ამორტიზაცია.

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებში არის შემდეგი სახის მოკლევადიანი ვალდებულებები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
სავაჭრო კრედიტორები	419,847	289,941	328,902
მიღებული ავანსები	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	-	-	-
	419,847	289,941	328,902

სავაჭრო ვალდებულებებში არის მხოლოდ ანგარიშგების ვალუტაში ნომინირებული.

15. სესხები

საწარმოს პერიოდის დასაწყისში ჰქონდა სესხი როგორც ფიზიკური პირიდან ასევე ბანკებიდან.

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
სესხი ლარში (პოკრედიტ ბანკი)	-	-	-
სესხი დოლარი (პოკრედიტ ბანკი)	89,849.46	4,467	4,467
შპს ედემი		391,505	141,505
სესხი ლარი (ფვ დემური ბაღდავაძე)	-	-	64,141
სესხი დოლარი (ფვ დემური ბაღდავაძე)	719,599.50	717,704	715,604
სესხი ლარი (თამარ ბაღდავაძე)		103,960	-
სესხი დოლარი (თამარ ბაღდავაძე)		1,094,688	1,092,137
სესხი ევრო (თამარ ბაღდავაძე)		280,218	280,218
R-VISION SIA			30,159
STREETBASKET			21,948
NORA RN ZIA			99,029
ESMU GRIZNKALNA PATRIOTS			14,194
BIEDRIBA BRVDA DZIMUSIE			25,513
შპს BALTIC EXPORTS SIA			100,619
შპს ბაღენი ჯგუფი			460,000
გადასახდელი % (პოკრედიტ ბანკი)	-	-	-
გადასახდელი % (ფვ დემური ბაღდავაძე)	842,360.77	842,360.77	842,360.77
გადასახდელი % (თამარ ბაღდავაძე)		80,235.00	243,536.57
	1,651,810	3,515,138	4,135,431

16. სააქციო კაპიტალი



2023 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 540 000 ლარს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან. 2023 წლის მანძილზე საწარმოს დამფუძნებლების წილობრივი მონაცემები არ შეცვლილა.

17. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ესაა ძირითადი საშუალებების აფასების რეზერვი, რომელის ცვლილებაც 2023 წელს არ მომხდარა და შესაბამისად აისახება უცვლელი სახით წლის დასაწყისსა და ბოლოსათვის.

პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ ერიცხება რაიმე პირობითი ვალდებულება, ის არ იმყოფება დავაში ან არ შესულა ისეთ თავდებობაში, რომ გაეჩინა მოლოდინი რაიმე სახის ზარალის, გარანტიის ანაზღაურებაზე. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების მომენტამდე არ გამოვლენილა ასეთი სავარაუდო ვალდებულების შესახებ რაიმე ნიშნები ან ცნობები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს დამატებით ასახვას ან განმარტებას შენიშვნებში. არ დამტკიცებულა დივიდენდი, არ დამტკიცებულა კაპიტალის შევსება ან შემცირება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარტნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 15 ივლისს.

საწარმოს დირექტორი

თამარ ბაღდავაძე

